ოქმი:**ო37. 3726134001**

თარიღი:**14/05/2026**

ოქმი N 14

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

2026 წელი, 13 მაისი

ქ. ოზურგეთი

16:00 -16:30-საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია **-** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: დ. კიკვაძე, ტ. არუშიძე, დ. ჭაკნელიძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ტ .ბარამიძე, ბ. თოიძე, ქ. ხომერიკი, დ. ხურციძე, ე. გორდელაძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 11 წევრი, სხდომა უფლებამოსულია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე დ. დარჩიას ინიციატივით სხდომის დღის წესრიგს დაემატა მე-7 საკითხი შემდეგ გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის2026 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხლვის შესახებ”- განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 3 ოქტომბრის N52 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენლების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ”-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და

შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ”--ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

5. „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის (პროგრამული კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1 საკითხი განსახილველად დაეწეროთ საკრებულოს მუდმივნოქმედ კომისიებსა და ფრაქციებს, მათ შორის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას(გ. ჩავლეშვილი) განხილვისა და საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომებზე გაერთიანებული დასკვნის წარმოსადგენად

2. N2,3,4 საკითხები განსახილველად და საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე).

3. N5 საკითხი განსახილველად და საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიას(დ. ჭაკნელიძე).

4. N6 საკითხი განსახილველად და საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს მომდევნო სხდომებზე დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროთ საკრებულოს მუდმივმოქმედ დარგობრივ კომისიებს(მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე).

5. N7 საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვა-დამტკიცების მიზნით.

   საკრებულოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 15 მაისს 12:00-საათზე საკრებულოს სხდომათა დარბაზი.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი